

„შპს „არგოტექს“ და შპს „მაგთიკომს“ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გადაპირების შესახებ“ კომისიის 2006 წლის 3 ნოემბრის №472/22 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანისა და შპს „მაგთიკომის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (შემდგომში „კომისია“) განცხადებით მიმართა შპს „მაგთიკომმა“ (კომისიაში რეგისტრაციის №7/5251-16, 07/06/16) და მოითხოვა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზიის მოდიფიცირება, კერძოდ კომპანიის სარგებლობაში არსებული სიხშირეების (1920-1935 მჰც და 2110-2125 მჰც) შეცვლა ალტერნატიული 1935-1950 მჰც და 2125-2140 მჰც სიხშირული რესურსით. როგორც წერილშია აღნიშნული კომპანია ფაქტიურად ვერ იყენებს ლიცენზიას, რომელშიც 2017 წლის თებერვლამდე გადასახდელი აქვს 22,560,115.51 ლარი, ვინაიდან ადგილი აქვს ინტერფერენციას, რომელიც იწვევს მომსახურების მკვეთრ გაუარესებას. ხელშემლევს აქვს მასშტაბური ხასიათი და იწვევს მთელი ქსელის ფუნქციონირების შეფერხებას.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „მაგთიკომი“ კომისიის 2006 წლის 3 ნოემბრის №472/22 და 2015 წლის 29 იანვრის №55/2 გადაწყვეტილებების შესაბამისად ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 1920-1935 მჰც 2110-2125 მჰც (სულ 30 (2 x 15) მჰც);

შენიშვნა: 2015 წლის 1 თებერვლიდან 2015 წლის 1 ივნისამდე: 1930 - 1945 მჰც და 2120- 2135 მჰც (სულ 30 (2 x 15) მჰც სიხშირული რესურსი);

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2015 წლის 1 თებერვლიდან 2030 წლის 1 თებერვლამდე;

დ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზიით განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური განისაზღვროს 22,560,115.51 (ოცდაორი მილიონ ხუთასსამოცი ათას ასთხუთმეტი და 51) ლარის ოდენობით;

ე) ტექნიკური პირობები:

ე.ა) FDD საბაზო სადგურებისათვის (დაუნლინკი):

ე.ა.ა) ბლოკის შიგნით EIRP-ს (ეკვივალენტური იზოტროპულად გასხივებული სიმძლავრე) ზედა ზღვრული მნიშვნელობა საბაზო სადგურისათვის - 65 დბმ/5 მჰც.

ე.ა.ბ) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობა თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე თითოეულ სექტორზე):

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები FDD დაუნლინკისათვის	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
სიხშირეები, რომლებიც დაშორებულია 10 მჰც-ზე მეტით ბლოკის ზედა ან ქვედა საზღვრისაგან	9 დბმ	5 მჰც


ე.ა.გ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე თითოეულ სექტორზე) FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეებისათვის

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
-10 მჰც-დან -5 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	11 დბმ	5 მჰც
-5 მჰც-დან 0 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	16.3 დბმ	5 მჰც
0 მჰც-დან +5 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	16.3 დბმ	5 მჰც
+5 მჰც-დან +10 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	11 დბმ	5 მჰც

ე.ბ) FDD ტერმინალური სადგურებისათვის (აფლინკი): ტერმინალური სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის შიგნით გასხივების მაქსიმალური საშუალო მნიშვნელობა - 24 დბმ.


კომისიის 2016 წლის 4 აგვისტოს №539/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „მაგთიკომის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზიის მოდიფიცირებისა და კომისიის 2006 წლის 3 ნოემბრის №472/22 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის მიზნით. ზეპირი მოსმენის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის პირველი სექტემბერის 15:00 საათი, ხოლო გადაწყვეტილების მიღების ვადად ზეპირი მოსმენის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღე.

კომისია აღნიშნავს, რომ რადიოსიხშირული სპექტრის 1920-1930მმ-ზე მონაკვეთი გამოყენებულია DECT-ის ამერიკულ სტანდარტზე მომუშავე სახლის უსადენო ტელეფონების ფუნქციონირებისათვის და წარმოქმნილი ხელშეშლები გამოუსადეგარს ხდის ამ დიაპაზონს შპს „მაგთიკომისათვის“. ამას მოწმობს რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის ანგარიში, რომელშიც ასახულია 1920-1935 მმ-ზე რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის შედეგები. აღნიშნული კვლევა ჩატარდა რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 10 აგვისტოდან 14 აგვისტოს ჩათვლით. კვლევის საფუძველს წარმოადგენდა შპს „მაგთიკომის“ წერილი (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი შ-7/4759-15, 14.07.2015); შპს „მაგთიკომის“ მომართვის შემდეგ კომისიის მიერ დაიგეგმა და ჩატარდა „დრაივ-ტესტი“ 1920-1935 მმ-ზე სიხშირულ დიაპაზონში, რომელიც მიზნად ისახავდა რეალური მდგომარეობის დადგენას. კვლევა ეფუძნებოდა მეთოდს, რომელიც წლების განმავლობაში აპრობირებულია ევროპის რიგ ქვეყნებში და ითვალისწინებს ტესტის ჩატარებას როგორც მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში, ასევე შედარებით მცირედ დასახლებულ რეგიონებში და სოფლებში. „დრაივ-ტესტის“ მარშრუტმა შეადგინა 670კმ მანძილი და მოიცვა ქ. თბილისი, მისი უშუალო შემოგარენი და რიგი სოფლები, რაც წარმოდგენილია შემდეგ სურათზე (სურათი 1):



სურათი 1: „დრაივ-ტესტის“ მარშრუტი


„დრაივ-ტესტის“ მსვლელობისას გამოყენებული იყო გერმანული კომპანია Rohde&Schwarz TSMW უსადენო დაშვების ქსელის ანალიზატორი, რომლის მეშვეობით განხორციელდა რადიოსპექტრში აზომვების დაგროვება მარშრუტის სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში. „დრაივ-ტესტის“ შედეგად დაფიქსირდა ხელშეშლები (სურათი 2):




სურათი 2: 1920-1935მმკ სიბშირულ დიაპაზონში დაფიქსირებული სიგნალის მაქსიმალური დონე

წარმოდგენილი დაფარვის სურათიდან ჩანს, რომ თბილისის სხვადასხვა უბნებში 1920-1935მმკ დიაპაზონში ფიქსირდება საკმაოდ მაღალი დონის (რიგ შემთხვევაში იგი აღემატება -100 დბმ-ს) ხელშეშლები.

სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში სპექტრის ანალიზის დროს მიღებული სურათი გამოიყურება შემდეგნაირად (სურათი 3):





სურათი 3: სპექტროგრამა 1920-1935 მჰც ზოლის

რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად სურათებზე ნაჩვენები ტექნიკური პარამეტრებიდან (სიგნალის ზოლის სიგანე (დაახლოებით 1 მჰც), დაშორება სიგნალებს შორის (დაახლოებით 1.7 მჰც) და დიაპაზონი (1920-1930 მჰც)) გამომდინარე სავარაუდოდ ამ დიაპაზონში ფუნქციონირებს DECT¹ სისტემა. ეს არის სისტემა, რომელიც კლასიფიცირდება როგორც პერსონალური არალიცენზირებადი საკომუნიკაციო სერვისი და გამოიყენება ძირითადად სამომხმარებლო რადიო ტელეფონების ფუნქციონირებისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე სისტემის მუშაობა რეგლამენტირებულია და დაშვებულია 1880-1900მჰც სიხშირულ დიაპაზონში, სადაც მას გააჩნია 10 გადამტანი (carrier) სიხშირე და დაშორება სიგნალებს შორის შეადგენს 1.728მჰც-ს.

ამერიკული სტანდარტების მიხედვით, 1920-1930 მჰც სიხშირულ დიაპაზონში დაშვებულია DECT ტექნოლოგიის ფუნქციონირება, სადაც გადამტანი (5 carriers) არხების ცენტრალური სიხშირეებია: 1921.536 მჰც, 1923.264 მჰც, 1924.992 მჰც, 1926.720 მჰც და 1928.448 მჰც, რაც ასახულია ზემოთ წარმოდგენილ სურათზე (სურათი 3).

ETSI EN 301 406 რეკომენდაციის მიხედვით, ამ ტექნოლოგიით მომუშავე ტერმინალების დაშვებული სიმძლავრე შეადგენს 250mW (24 dBm), ხოლო მე-3 თაობის მობილური ტერმინალების სიმძლავრე (ემისიის კატეგორების შესაბამისად) შეადგენს:

- Power class 1 mobiles: 2000mW ანუ 30dBm;
- Power class 2 mobiles: 500mW ანუ 27dBm;
- Power class 3 mobiles: 250mW ანუ 24dBm;
- Power class 4 mobiles: 125mW ანუ 21dBm.

რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, სავარაუდოდ DECT სისტემები, რომლებიც გამოიყენებამია საქართველოს ტერიტორიაზე და მუშაობენ ამერიკული სტანდარტის (1920-1930მჰც) მიხედვით, შეუქმნიან საკმაოდ მაღალი დონის ხელშეშლებს იმავე დიაპაზონში მომუშავე მგრძნობიარე eNodeB ტრანსმიტერებს, რამაც შესაძლოა იქონიოს ნეგატიური ზეგავლენა მომხმარებლისათვის გაწეულ სერვისზე.

კომისია აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ქვეყნის სტანდარტზე მომუშავე რადიოელექტრონული აპარატურის, მათ შორის რადიო ტელეფონების შემოტანა და საქართველოს ბაზარზე განთავსება დღეის მდგომარეობით არ რეგულირდება არცერთი სამართლებრივი აქტით, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს რთული ხასიათის ელექტრომაგნიტური ხელშეშლების წარმოქმნას, რომელთა გამოვლენა და აღმოფხვრა დაკავშირებულია რიც სირთულეებთან. აღნიშნული პრობლემის რეგულირების სფეროში მოქცევის მიზნით, შემუშავების სტადიაშია

¹ DECT - Digital Enhanced Cordless Telecommunications

„ტექნიკური რეგლამენტი“, რომელის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს ბაზარზე განსათავსებელი რადიოელექტრონული საშუალებების ტექნიკური ზედამხედველობა, მათი ელექტრომაგნიტური თავსებადობის და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (№10/6321-16, 01.07.2016) თანახმად დეპარტამენტის წინადადება განხორციელდეს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზიის მოდიფიცირება და ლიცენზიით განსაზღვრული სიხშირული რესურსი 1920-1935 მჰც და 2110-2135 მჰც შეიცვალოს დღეის მდგომარეობით თავისუფალი 1935-1950მჰც და 2125-2140მჰც სიხშირული რესურსით.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ შპს „მაგთიკომის“ განცხადება დასაბუთებულია და მიზანშეწონილია განხორციელდეს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზიის მოდიფიცირება და კომისიის 2006 წლის 3 ნოემბრის №472/22 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა.

კომისიის პირველი სექტემბრის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძემ აღნიშნა, რომ კომისიისთვის ცნობილი იყო შპს „მაგთიკომის“ პრობლემა. მან ასევე აღნიშნა, რომ კომისიას დაგეგმილი ჰქონდა და 2016 წლის 17 მარტის №185/8 გადაწყვეტილებით გამოაცხადა ცხრა (თანმიმდევრული) აუქციონი 800/900/1800/2100 სიხშირულ დიაპაზონში მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად. აღნიშნული აუქციონებიდან სამი აუქციონი ითვალისწინებდა 2 x 5 მჰც სიხშირულ რესურსს 1935- 1950 და 2125-2140 სიხშირულ დიაპაზონში. კომისიის მიერ გამოცხადებულ აუქციონებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „მაგთიკომმა“ და შეიძინა შემდეგი სიხშირული რესურსი :801-806 მჰც და 842 -847 მჰც (სულ 10 (2x 5) მჰც). კომპანიამ აღნიშნულ სიხშირულ რესურსში გადაიხადა 25, 391 303 (ოცდახუთი მილიონ სამასოთხმოდათერთმეტი ათას სამასსამი და 00) ლარი. დანარჩენ აუქციონებში მონაწილეობის სურვილი არცერთ კომპანიას არ გამოუთქვამს. შესაბამისად დღეის მდგომარეობით შპს „მაგთიკომის“ მიერ მოთხოვნილი სიხშირული რესურსი თავისუფალია, ამიტომ შესაძლებელია განხორციელდეს ლიცენზიის მოდიფიცირება და არსებული სიხშირეები შეიცვალოს დღეის მდგომარეობით თავისუფალი სიხშირული რესურსით.

ამავე სხდომაზე კომისიის წევრმა მერაბ ქათამაძემ აღნიშნა, რომ საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია - საუბარია ოცდაორ მილიონზე მეტი ღირებულების სახელმწიფო რესურსზე. მომავალში ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი ნაბიჯი ტექნიკური რეგლამენტის მიღებაა. პრობლემის იდენტიფიკაციისთანავე კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით (N6/21, 24.08.15და N6/1, 03.02.16) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი მისი ხელმძღვანელობით. ჯგუფმა მოამზადა წინადადებები ტექნიკური რეგლამენტის პროექტისათვის, რომელიც ეხება რადიოდანადგარებსა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალურ მოწყობილობებს და მათი შესაბამისობის ორმხრივ აღიარებას. ამჟამად კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტი წარმოდგენილი წინადადებების სამართლებრივ ანალიზს ახორციელებს.

კომისიის წევრმა მერაბ ქათამაძემ ასევე აღნიშნა, რომ 2016 წლის 10 აგვისტოს კომისიას წერილით მომართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტმა და ითხოვა, დაიგეგმოს შეხვედრა ამ საკითხზე სამსჯელოდ: კერძოდ, საქართველოს მთავრობას ამ მიმართულებით აღებული აქვს შემდეგი ვალდებულებები:

1. ევროკავშირთან ასოცირების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია საქართველოს ტექნიკური რეგულაციების დაახლოება ახალ და გლობალური მიდგომის დირექტივებთან - ისეთი ტექნიკური რეგლამენტის პროექტის მომზადება, რომელიც ეხება რადიოდანადგარებსა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალურ მოწყობილობებსა და მათი შესაბამისობის ორმხრივ აღიარებას. ეს ვალდებულება გაწერილია 2016 წლის ბოლოსათვის. საქართველოს მთავრობის განკარგულება №382, 2016 წლის 7 მარტი.

2. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების DCFTA ფარგლებში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ეს ტექნიკური რეგლამენტი დამტკიცებულ უნდა იქნეს 2017 წლის ბოლომდე (იხილეთ სათანადო ზმული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე http://www.economy.ge/uploads/news/giorgi_kvirikashvili/DCFTA_action_plan_GEO.pdf). მომართვის საფუძველზე სექტემბერში დაიგეგმა ორმხრივი შეხვედრა, ერთი მხრივ - კომისიისა და მეორე მხრივ - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის და სავაჭრო მოლაპარაკებებისა და DCFTA-ს იმპლემენტაციის კოორდინაციის სამმართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობით; ამოცანა - ერთობლივი ძალისხმევით 2016 წლის ბოლომდე მომზადდეს

ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შეთახმებული ვერსია, რომელიც განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა საქართველოს მთავრობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-IX თავის, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. მოდიფიცირდეს შპს „მაგთიკომის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2006 წლის 3 ნოემბრის №472/22 გადაწყვეტილებაში და ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 1935-1950მჰც და 2125-2140მჰც სიხშირული რესურსი (სულ 30 (2 x 15) მჰც)“;

2. დაევალოს სამართლებრივ დეპარტამენტს (გ. კვერენჩხილაძე) 2016 წლის ბოლომდე მოამზადოს ტექნიკური რეგლამენტის პროექტისთვის წინადადებები, რომელიც ეხება რადიოდანადგარებსა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალურ მოწყობილობებს და მათი შესაბამისობის ორმხრივ აღიარებას.

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს:

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა (ნ. ლორთქიფანიძე);

ბ) სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა (ნ. ლორთქიფანიძე);

გ) ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე ინფორმაციის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გაგზავნის უზრუნველყოფა (მ. ქადეიშვილი);

დ) აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „მაგთიკომისთვის“ გაგზავნა (ნ. ჯავახიძე);

4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი დამოწმებული ასლის შპს „მაგთიკომისთვის“ ჩაბარებისთანავე;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ; №6) ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტს (ს. შავგულიძე).

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა პირველი პუნქტისა) დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე
ელისო ასანიძე
კახი ბექაური
გიორგი ფრუიძე
მერაბ ქათამაძე